აფილიაცია - Affiliate - Аффилиация (ლათ. ინგ. affiliate *მიერთება)*

ადამიანის ერთერთი **ძირითადი მოთხოვნილება** – საზოგადოებრივი, სოციალური მოთხოვნილება – იმყოფებოდეს ადამიანთა საზოგადოებაში, ჰქონდეს მეგობრული კავშირები და გრძნობითი ურთიერთობა. **ა**-ის მთავარი **მდგენელებია**:

I. დაცულობა-უსაფრთხობის ძირეული **ადაპტაციური** მოთხოვნილება: სოციალური ადაპტაცია, მარტივად – ვუყვარდე ადამიანებს, ვგრძნობდე ყურადღებას მათი მხრიდან (რათა მშვიდად ვიყო). შესაბამისად, **ა** ძლიერდება **სტრესის**, **შფოთვის**, საკუთარ თავში დაურწმუნებლობის ვითარებაში. ადამიანთა საზოგადოება ეხმარება **სუბიექტს**, შეამოწმოს მისი ქცევა, რთულ და საშიშ ვითარებაზე საკუთარი რეაგირების **ადეკვატურობა**. ხშირად სხვა ადამიანებთან სიახლოვე უშუალოდ იწვევს შფოთვის შემცირებას და ამით არბილებს სტრესის თანმდევ ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს. ხოლო **ა**-ის აღკვეთა იწვევს მარტოობის, უმწეობის, გაუცხოების განცდას.

II. ადამიანურ ურთიერთობათა **ფუნქციონალური** მოთხოვნილება: სოციალური აქტიურობა, მარტივად – მიყვარდეს ადამიანები, ვაგრძნობინო მათ ყურადღება, ვზრუნავდე სხვებზე, ვიცოდე, რომ საზოგადოებისთვის საჭირო ვარ. ამ II მდგენელის არქონა მაჩვენებელია: I მდგენელის მწვავე დაუკმაყოფილებლობისა; ან ნევროზული გადახრისა, **რეგრესისა**; ან **ინფანტილიზმისა**. ხშირად ეს მდგენელი თვალთმაქცურად ნიღბავს ანგარებას; ხშირად კი, პირიქით, **ქვეცნობიერია** [**უარყოფითი რაციონალიზაცია**].

ინტრაპერსონალურ ტიპს **ა** სხვებთან შედარებით ნაკლებად აქვს. თუმცა **ა**-ის არქონა ან მკვეთრი შესუსტება დროებითი ნევროზის ან აუტიზმის მაჩვენებელია.